თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 09

29 აგვისტო 2023 წ. **ქ. თელავი**

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 29 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა ბურდიაშვილი;**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	
თავმჯდომარე	**ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, ზურაბ მუსაევი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, აბრამ მახარიაშვილი,ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ნიკოლოზ მაისურაძე, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი,** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“ დირექტორი **ზაქარია რაზმაძე;**

პროფესიული კოლეჯის „პრესტიჟი“ სტუდენტები **ეკა გეგელიძე, სოფიკო ლეკიაშვილი;**

მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

ბ.გულიაშვილმა მოითხოვა დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითების შემდგომ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაჭიანურებული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ინფორმაციის წარმოდგენა.

სხდომის თვმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სხდომას არ ესწრება ლ.ბერძენაშვილი პირველ საკითხს წარმოადგენს თ.ხანჯალიაშვილი, ხოლო მერის პირველი მოადგილის ნ.მეტრეველის არ ყოფნის გამო საკითხებს წარმოადგენენ თ.ხოსროშვილი და ზ.სახიაშვილი.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიადი ხანჯალიაშვილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
14.00სთ-დან - 14.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
14.10სთ-დან - 14.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
14.30სთ-დან-14.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. თ.ხოსროშვილი
14.40სთ-დან - 14.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს.ზ.სახიაშვილი

14.50სთ-დან - 15.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
15.00სთ-დან - 15.10სთ-მდე

7. სხვადასხვა

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიადი ხანჯალიაშვილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
14.00სთ-დან - 14.10 სთ-მდე

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიადი ხანჯალიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა (2023 წლის 22 აგვისტოდან) **მიღებულ იქნეს ცნობად.**

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
14.10სთ-დან-14.30სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი საკრებულოს კომისიებში განხილვის შემდგომ გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს გამოეყო გარკვეული თანხები და საჭიროა მათი ასახვაც მოხდეს ბიუჯეტში.

ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსების შემცირებასთან დაკავშირებით, რაზეც მომხმარებლისაგან მიიღო განმარტება.

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **23 (ოცდასამი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 06 (ექვსი) წევრმა: ზ.გრიშიკაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
14.30სთ-დან-14.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21 (ოცდაერთი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08 (რვა) წევრმა: ზ.გრიშიკაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ა.მახარიაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. თ.ხოსროშვილი
14.40სთ-დან - 14.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.გიგიტელაშვილმა** დასვა კითხვა სოფელ კურდღელაურში განსახორციელებელი პროექტის განხორციელების ვადებთან დაკავშირებით.

ა.მახარიაშვილმა დასვა კითხვა სოფელ ნაფარეულში განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებით.

შეკითხებზე განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20** (ოცი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 09 (ცხრა) წევრმა: ა.მახარიაშვილმა, ბ.გულიაშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ა.კუპატაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ომანიძემ, ნ.ბახსოლიანმა.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს.ზ.სახიაშვილი
14.50სთ-დან - 15.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ა.მჭედლიშვილმა** აღნიშნა, რომ ისეთი ძლიერ კომპანიებისთვის, როგორც „სილქნეტია“ საიჯარო ქირა უნდა იყოს უფროს მეტი.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **23** (ოცდასამი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 06 (ექვსი) წევრმა: ნ.ომანიძემ, ი.კევლიშვილმა.

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
15.00სთ-დან - 15.10სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

7. მოისმინეს: სხვადასხვა

ბ.გულიაშვილმა ინფრასტრუქტურის სამსახურტის უფროსისაგან მოითხოვა ინფორმაცია ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

გ.გიგიტელაშვილმა დასვა კითხვა პარკ „ნადიკვარზე“ და მშვიდობის პარკზე მიმდინარე სამუშაოების დასრულების ვადებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებზე განმარტებები გააკეთა თ.ხოსროშვილმა და აღნიშნა, რომ სამუშაოები მიმდინარეობს ყველა ხსენებულ პროექტებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ბურდიაშვილი